ნესტან სულავა

„მზეს რა ამოიყვანდა!“
(მაკა გოგუაძის რომანი „ერზაცი ისევ ხუმრობს“, თბილისი, 2005)

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან, პოლიტიკურ-კულტურული ღირებულებების გადაფასების პერიოდიდან მოყოლებული, ქართულ ლიტერატურაში, ტრადიციულის გვერდით, ახალი ტიპის პროზაც ჩნდება და ცდილობს თავისი ადგილის დამკვიდრებას. ამ ტიპის მოვლენა მხოლოდ ქართული ლიტერატურისათვის არაა დამახასიათებელი, იგი საყოველთაო მოვლენაა, რაც მსოფლიოში მიმდინარე სულიერი გაღარიბების ურთულესი პროცესებისა და კატაკლიზმების შედეგს აჩვენებს.

ცნობილია, რომ მხატვრულ ლიტერატურას, მრავალ სხვა ფუნქციასთან ერთად, კულტურული სივრცის მოწესრიგება აკისრია, ხოლო ყოველ ახალ ნაწარმოებს მოაქვს თავისი დროისათვის შესაფერისი ღირებულებების შეცნობისა და დამკვიდრებისაკენ სწრაფვის სურვილი. ამიტომ მიმაჩნია განსაკუთრებულ კულტურულ და სულიერ-ინტელექტუალურ მოვლენად კლასიკად ქცეულ თხზულებათა გადაწერა-გადააზრების პოსტმოდერნისტულ ეპოქაში ჩვენს თვალწინ ახალი რომანის შექმნა, რომანისა, რომელიც ტრადიციული, კლასიკური და მოდერნისტულ-პოსტმოდერნისტული რომანისაგან სრულიად განსხვავებულია, არაორდინარული სტილითაა შესრულებული. ეს გახლავთ მაკა გოგუაძის რომანი ***„ერზაცი ისევ ხუმრობს“***.

მაკა გოგუაძემ ქართულ მწერლობაში ახალი სიტყვა მოიტანა; ცნობილია, რომ მწერალს ყოველთვის აქვს ახალი სათქმელი, რადგან ყოველი ეპოქა ახალ ღირებულებებზეა ორიენტირებული. მაკა გოგუაძე მთელი თავისი არსებით, მსოფლხედვით, განცდით შემოქმედია, რომლის რო-

მანიდან კიდევ ერთხელ ნათლად წარმოჩნდება, რომ სამყარო საოცრად მრავალფეროვანია. ამიტომ გაზვიადებულად მიმაჩნია ის სკეფსისი, რომანის, როგორც ჟანრის, „გარდაცვალებას“ რომ იუწყება. ეს, ალბათ, ხელმოცარულ მწერალთა ხვედრია, რომლებიც „დიდსა ვერ მოჰკვლენ, ხელად აქვს ხოცა ნადირთა მცირეთა“.

მაკა გოგუაძემ თავისი რომანით მკითხველსა და მწერალს შორის სანახევროდ გაწყვეტილი სულიერი კავშირი აღადგინა და, ასე მგონია, ჩვენი დარღვეული ცხოვრებისეული ეთიკური არსიც აღდგება, რადგან რომანში ობიექტური თვალით დანახული და მიუკერძოებლად შეფასებული ჩვენი უახლოესი ისტორიისა და ამჟამად მიმდინარე პოზიტიური თუ ნეგატიური მღელვარე მოვლენების ამსახველი სურათებია აღწერილ-დახასიათებული და გადმოცემული. ჩემი აზრით, ის სკეპტიკური დამოკიდებულება, რომელიც ბოლოდროინდელ კრიტიკულ სტატიებსა და აზროვნებაში იჩენს თავს, თითქოს ამბის, ისტორიის თხრობა, როგორც უბრალოდ ყოველდღიური ცხოვრების სილამაზის ასახვა, და თითქოს მხოლოდ „ევფემისტური ორნამენტული ფორმებით“ მოწოდება იყოს მწერლის მთავარი მიზანი, სრულიად ქარწყლდება მისთვის, ვინც ამ რომანს წაიკითხავს. ამთავითვე ვიტყვი, რომ რომანის მკითხველი მზაობას უნდა ამჟღავნებდეს ცხოვრებისა და იდეალების რთული, წინააღმდეგობებით აღსავსე ურთიერთობების შესაცნობად. აგრეთვე, მას უთუოდ დასჭირდება ხელოვნების სხვადასხვა სფეროში ორიენტირების უნარიც, რათა სწორად გაიაზროს მწერლის ჩანაფიქრი და მიზანდასახულობა.

მინდა ორიოდე სიტყვით შევეხო რომანის სათაურს: *„ერზაცი ისევ ხუმრობს“*. ავტორმა ერთ თავის ინტერვიუში განაცხადა: *„რაც შეეხება „ერზაცს“, ვით იდეას სათაურში გამოტანილს: ადამიანს, მეტადრე, შემოქმედს, არ ჰყავს ერზაცზე – არარამდვილზე, სუროგატზე დიდი მტერი“*. სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის აღინიშნა, რომ სათაური ნაწარმოების გასაღებია, ხოლო სახელდების პრინციპი ერთდროულად არის ბიბლიური შესაქმური პროცესის შემადგენელი ნაწილიც, ფილოსოფიური და ესთეტიკური კატეგორიაც. ამიტომაა მაკა გოგუაძის რომანის სა-

ხელწოდება მრავალშრიანი და ღრმააზროვანი; იგი, როგორც ხატოვანი და სახეობრივი არსის მქონე, მთელ რომანს მსჭვალავს. სწორედ ამ მრავლისმეტყველი სათაურით წარმოჩნდება ძირითადი მხატვრულ-ესთეტიკური და ზნეობრივ-მორალური პრობლემატიკა.

რომანის სათაური მრავალ კითხვას აღძრავს: 1. თუ ერზაცი, რომელსაც ნამდვილი საგნის მხოლოდ ზოგიერთი თვისებაღა აქვს შერჩენილი და, აქედან გამომდინარე, ყალბია, სუროგატია, ოდესმე შეიძლება გახდეს სერიოზული? 2. ან თუ ყველაფერი ის, რაც ჩვენს ირგვლივაა, ჩვენს რეალურ ცხოვრებაშია, ერზაცია, რაა ნამდვილი? 3. და კიდევ: თუ რომანის სახელწოდებას განვაზოგადებთ და ქართველი ერის ცხოვრებასა და ისტორიას ვიგულისხმებთ, მაშინ რა არის ნამდვილი „ქართლის ცხოვრება“ ან ნამდვილი „ქართველი ერის ისტორია“? ამ პრობლემების მხატვრული წარმოსახვაა მწერლის მიზანი.

„ერზაცი ისევ ხუმრობს“ ერთი ოჯახის საგაა, ტრადიციული, განათლებული, მაღალი კულტურის მქონე ოჯახის საგა, რომელშიც უმთავრესია პერსონაჟთა რთული სულიერი ცხოვრება, რომელთაგან განსაკუთრებულია მთავარი გმირის – ლეოს გარდასახვები, პიროვნებად ჩამოყალიბების ურთულესი პროცესი; აქედან გამომდინარე, გახლეჩილი, გაორებული პიროვნების, ასევე გახლეჩილი საზოგადოების გამთლიანების მიზანდასახულობა წარმართავს რომანის სიუჟეტსა და კომპოზიციას. იმავე ინტერვიუში მწერალმა განაცხადა: „ლეო – ეს მე ვარ!“ რაც იმას მოწმობს, რომ სწორედ მასში, რომანში წარმოდგენილი ოჯახის ახალი თაობის წარმომადგენელშია მწერლის მსოფლმხედველობა და თვალთახედვა ჩაქსოვილი.

რომანში დასმულ პრობლემათაგან უმთავრესი ქართველი ერის მეობის, მისი არსის გააზრებაა, რისთვისაც მწერალს შემოჰყავს რეალური პიროვნებები, კერძოდ, სასულიერო პირები, საქვეყნოდ ცნობილი და სახელგანთქმული საზოგადო მოღვაწეები, მწერლები, ფილოსოფოსები, მეცნიერები. მართალია, ისინი მოქმედი პირები არ არიან, მაგრამ მათ შესახებ, – მათი შემოქმედების, მემკვიდრეობის, ცხოვრების შესახებ, – პერსონაჟთა საუბრებით უმ-

დიდრესი ინფორმაციები ისეა მოწოდებული, რომ სრულიად ნათელია, თუ რა დიდი მხატვრული ფუნქციით არიან აღჭურვილნი ისინი, რათა მწერალმა თავისი სათქმელი მათი ციტატებითაც მიიტანოს მკითხველამდე. რომანის თხრობა ქრონოლოგიური თანმიმდევრობისა არ არის, მასში ხშირია ჩანართები, ზოგჯერ, გამოყენებულია რემარკებიც, რომელთაც პერსონაჟთა სახეების სრულყოფისათვის ენიჭებათ მნიშვნელობა. ამავე დროს, მწერალს არ რჩება მთავარი პერსონაჟის ცხოვრებიდან სულიერი თვალსაზრისით არც ერთი კონცეპტუალური მომენტი, რომელსაც შეუძლია მისი სახე ახალ-ახალი შტრიხებით შეავსოს და წარმოაჩინოს. ყოველი ახალი ეპიზოდი მწერალს ახალი პერსონაჟის შემოყვანის საშუალებას აძლევს და შესაძლებელ ხდის ახალი სათქმელით გაამდიდროს რომანი.

მაკა გოგუაძის რომანის მთავარი პერსონაჟები ერთი ოჯახის წევრები არიან, ძირითადად სამი თაობაა წარმოდგენილი, რომელთაც, სისხლისმიერი ნათესაობისა და მემკვიდრეობის გარდა, ერთმანეთთან სულიერება და ინტელექტი აკავშირებთ; შეიძლება ითქვას, რომ ეს უფრო მნიშვნელოვანია მათი ურთიერთობის, მამა-ძეობის, მემკვიდრეობითობის გასათვალისწინებლად. რუსუდანი, გარეგნობითა და შინაგანი სამყაროთი გამორჩეული, დახვეწილი მანერების მქონე პიროვნება, გამოცდილი პედიატრი, სრულიად ახალგაზრდა, ძმასთან ერთად, პირისპირ აღმოჩნდა მძიმე ცხოვრების წინაშე; ეს XX საუკუნის 20-30-იანი წლებია, ერთი ურთულეს პერიოდთაგანი ჩვენი მრავალტანჯული ქვეყნის ისტორიისა. მაგრამ მიუხედავად ტრაგიკული ყოფისა და სულიერი სიმძიმილით დატვირთულობისა, მაინც შეძლო სწორი ორიენტირების მონიშვნა, რაც მისი არჩევანის საფუძველი გახდა. მწერალი საინტერესოდ წარმოსახავს მის ცხოვრებას, რის შესახებაც იგი თავის ერთადერთ შვილიშვილს თავადვე უყვება; თითქოს აღსარებას ეუბნებაო, იმდენად შთამბეჭდავია მისი მონათხრობი, რადგან უმთავრესი მასში ყოველთვის იყო და არის სულიერება. მისი შეხვედრები და საუბრები მომავალ მეუღლესთან, ანდროსთან, რომელსაც ავტორი ხშირად მამის სახელითაც იხსენიებს, თან არაქართულად, რუსულად – *ნოე-*

ვიჩი, რითაც ეპოქის ტრაგიკული ელფერია წარმოჩენილი, – მისი მღელვარე სულიერი ძვრების მაუწყებელია, რაც განსაკუთრებით მათი შინაგანი სამყაროს ჩვენებისას მჟღავნდება. ამ მხრივ ღრმა შთაბეჭდილებას ტოვებს რუსუდანის მისვლა ანდროსთან ალექსანდრ ბლოკის საღამოზე. რომანის მიხედვით, ბლოკი ის პოეტია, რომელიც ამ ორ მონათესავე სულს აახლოებს და აერთიანებს. მათ დაახლოებაში წვლილი მიუძღვის რომანის ერთ-ერთ პერსონაჟს, იშვიათი მხატვრული ოსტატობით დახატულ ცელია დადიანს, ძველი არისტოკრატიული წრის წარმომადგენელს, დახვეწილი, ფაქიზი მანერებითა და ქცევებით გამორჩეულ პიროვნებას, რომელიც თავადაც გატაცებულია ბლოკისა და, საერთოდ, „ვერცხლის საუკუნის" რუსი მწერლების შემოქმედებით. თავდაპირველად რუსუდანს ეგონა, რომ ასაკით მასზე საკმაოდ უფროსმა ანდრომ პაემანი დაუნიშნა, მისამართი მისცა და მისვლა სთხოვა, ამიტომაც მოირთო საგანგებოდ ლამაზად, მაგრამ სინამდვილეში აღმოჩნდა, რომ თურმე ბლოკისადმი მიძღვნილ, უკვე ტრადიციადქცეულ პოეზიის საღამოზე მიუწვევია, სადაც ბლოკის შემოქმედების მოყვარულები იყვნენ შეკრებილნი. საღამოზე რუსუდანმაც წაიკითხა ბლოკის ლექსი, რომელიც იმ მომენტისათვის მის გამძაფრებულ, მღელვარე განცდებს ეხმიანება; წაკითხული ლექსი ყველა იქ დამსწრისათვის ძალიან ახლობელი, მეტად ნათელი, ხელშესახები იყო. თუმცა, ეს ლექსი მხოლოდ ანდროსადმი იყო მიმართული, ფაქტობრივად, ამ ლექსით რუსუდანმა ანდროს თავისი გულისნადები გაუმხილა, რის შემდეგაც მათი ცხოვრება საბოლოოდ გადაეჯაჭვა ერთმანეთს. ანდრო პოეზიის საღამოს მეორე დღესვე დააპატიმრეს, – ესეც იმ ტრაგიკული წლების ექოა, – რუსუდანი მას თოთხმეტი წელი ელოდებოდა; ამიტომ რუსუდანმა და ანდრომ გვიან იქორწინეს. მწერალი თხრობის დროისათვის უკვე გარდაცვლილი ანდროს შესახებ გვიამბობს და გვამცნობს, რომ ანდროს ცხოვრება მაგალითია იმ რეპრესირებული ოჯახების ისტორიისა, რომლებიც მსხვერპლად შეეწირნენ XX საუკუნის 20-30-იანი წლების უსამართლობას, ტირანულ და დესპოტურ მმართველობას. ყოველ მის ფრაზაში მძიმე

ცხოვრებაგამოვლილი კაცის გაუტეხელი, მოუდრეკელი სულის სიძლიერე, ნების სიმტკიცე და ტანჯვაგამოვლილი. ადამიანის სიბრძნე გამოსჭვივის. მწერალი ყურადღებას ამახვილებს ანდროს ჩამომავლობაზეც, დედამისი უკრაინელია, თავად რუსეთშია გაზრდილი, საუცხოო განათლება აქვს მიღებული; გატაცებული იყო რუსული კულტურით, განსაკუთრებით – „ვერცხლის საუკუნის“ მწერლებით, რომელთაგან ალექსანდრ ბლოკი ლამის კერპად გაიხადა. საბოლოოდ მასში ქართულმა სულმა იმძლავრა და სამშობლოში დაბრუნდა.

მწერალი ანდროს მშობლებისა და წინაპრების ჩამომავლობაზე საუბრით ყურადღებას ამახვილებს საქართველოს რუსეთსა და სხვა ქვეყნებთან ურთიერთობის პრობლემაზე, რითაც შერეული ოჯახის არსში გარკვევას ცდილობს. ინტერესს მოკლებული არაა ისიც, რომ ბავშვობაში ნატას თავისი ბებიის სახელით უნდა წარუდგეს საზოგადოებას, რის გამოც მამისაგან გაკვირვებასა და საყვედურს ერთდროულად იღებს. ანდრო არაჩვეულებრივი მამაა, იგი ქალიშვილისთვის საუკეთესო პირობების შექმნას ცდილობს, ოცნებობს თავისი ერთას მუსიკალურ განათლებაზე, რისთვისაც როიალის შეძენას აპირებს; საინტერესოა მისი ვიზიტი ვაჭრობის მინისტრთან, რომელსაც არ ესმის ანდროს სათხოვარი, უფრო სწორად, მისთვის გაუგებარია, როგორ მივიდა მასთან სრულიად უცნობი ადამიანი, დახვეწილი ინტელიგენტი, მაგრამ მინისტრისათვის სულერთია, ვინაა იგი; თუმცა, ანდროს წასვლის შემდეგ გონს მოეგო და კაცი დაადევნა, მეორე დღეს ანდროს სახლში როიალი დაიდგა; სამწუხაროდ, ნატას მუსიკალური მონაცემები არ აღმოაჩნდა. ამაოდ გაისარჯა მზრუნველი მამა, რადგან აქ ერთმანეთს დასცილდა მამის სურვილი და შვილის შესაძლებლობები. ანდროს სახის სრულყოფილება განსაკუთრებით მაშინ წარმოჩნდება, როდესაც მისი გარდაცვალებიდან რამდენიმე წლის შემდეგ მისი შვილიშვილი ლეო პაპის ნაანდერძევ არქივს გახსნის და გაეცნობა მის ჩანაწერებს, რომლებიც ცხადყოფენ ანდროს ფართო ინტერესებს, სულიერი სამყაროს სიმდიდრეს.

მაკა გოგუაძე პოეზიასა და მხატვრობაზე ასაუბრებს თავის პერსონაჟებს, ან თავად მსჯელობს მათზე, რაც თვით მწერლის უღრმეს განათლებას, აზროვნების დონეს, მის კულტურულ მზაობას წარმოაჩენს. ეს აუცილებელია მწერლისთვის, მაგრამ საკმარისი პირობა არ არის ჭეშმარიტად ღირებული მხატვრული ნაწარმოების შესაქმნელად. მწერალს ღვთივმიმადლებული ნიჭი, სამყაროს, ადამიანის აღქმისა და წარმოსახვის ის იშვიათი უნარი სჭირდება, რომლითაც მხოლოდ რჩეულნი არიან დაჯილდოებულნი. მაკა გოგუაძე ფსიქოლოგიური სიღრმით სწვდება თითოეული პერსონაჟის სულიერ მდგომარეობას და ფსიქოლოგიზმით ტვირთავს მათ. ამ შემთხვევაში პერსონაჟთა პროფესია, ენა და სახელები განსაკუთრებული მხატვრული ფუნქციითაა აღჭურვილი.

განსაკუთრებულ მხატვრულ ელფერს სძენს ნაწარმოებს ის ფაქტი, რომ ანდრო და რუსუდანი ექიმები არიან; ანდრო ქირურგია, რუსუდანი – პედიატრი; მათი ქალიშვილიც, ნატა, ექიმია; აქ უთუოდ გაგვახსენდება ბორის პასტერნაკის რომანი „ექიმი ჟივაგო"; პროფესიაზე აქცენტირება იმას მიუთითებს, რომ ისინი, ფიზიკურთან ერთად, ადამიანის სულიერ სამყაროს ღრმად სწვდებიან. ამ მოსაზრებას ადასტურებს რომანის მთავარი პერსონაჟის ლეოს სულიერი მდგომარეობა და გატაცება ფსიქოანალიზით და მის შესახებ არსებული ლიტერატურით, განსაკუთრებით ფროიდის წიგნებით, რომლებიც ერთხანს თბილისში იშვიათობა იყო, ე. წ. გადამყიდველებს თითო-ოროლა თუ ჩამოჰქონდათ მოსკოვიდან, რაც იმდროინდელი ტოტალიტარული რეჟიმის სიმკაცრეს მოწმობს.

მართალია, ანდროს გარდაცვალებისას ლეო სულ ათი წლისა იყო, მაგრამ ღრმად შეიცნო თავისი პაპის სულიერი სამყარო, მისი ბუნება; მისმა არსებობამ გავლენა მოახდინა მის პიროვნებად ჩამოყალიბებაზე, იგი ხშირად იხსენებს კიდეც მას. რუსუდანი თავისი ერთადერთი შვილიშვილისთვის თავისი თავგადასავლის თხრობით ცხოვრებისეულ გამოცდილებას გადასცემს; უშუალო წინაპართა ცხოვრება უნდა დაეხმაროს შთამომავალს გზის გაკვალვაში. რუსუდანმა თავისი შვილიშვილის ცხოვრებაში

მნიშვნელოვანი კვალი გაავლო, ისინი მეგობრები არიან, რადგან სულიერება აახლოებთ ერთმანეთთან.....ლეოს ცხოვრებაში არის მომენტები, როდესაც საკუთარ მშობლებზე მეტად ბებიას ენდობა და ზოგჯერ მასთან აქვს საიდუმლო საუბრები, რომლებიც აღსარების ტოლფარდია.

ლეოს დედა, გარეგნობით გამორჩეული ნატა, თავისი მშობლების ერთადერთი შვილია; მამამისი ანდრო ვაჟიშვილზე ოცნებობდა, საჩუქარიც ვაჟის შესაფერისი ჰქონდა მომზადებული, მაგრამ ქალიშვილი შეეძინა და საჩუქარი ქალისთვის შესაფერისად გადააკეთა, ავტორი ამ პასაჟს იუმორით ხატავს და მამის გრძნობების გადმოსაცემად ფერებს არ იშურებს, განსაკუთრებული სითბოთი და სინაზით ახასიათებს მამა-შვილის ურთიერთობას. დედის მსგავსად, ნატაც ფაქიზი ბუნებისა და სულის ადამიანია, ისიც თავად უყვება შვილს საკუთარ თავზე, ოღონდ მოუთხრობს იმას, რის ცოდნაც აუცილებლად მიაჩნია შვილისთვის, და არავითარ შემთხვევაში – უინტიმეს განცდებსა და გრძნობებს; ამ მხრივ უაღრესად მნიშვნელოვანია ნატას შეხვედრები და საუბრები მხატვარ მაქსთან, რომელიც მის სულიერ მეგობრად გვევლინება, ისეთ მეგობრად, რომელსაც, მხოლოდ ერთადერთს, უმხელს თავის ნაფიქრსა და ნააზრევს, რომელთანაც პოულობს იგი შვებას, რომელიც ეხმარება მას საკუთარი თავის პოვნაში; ამიტომაც ურჩევს რომანის დასასრულს თავის ვაჟსაც მაქსთან ურთიერთობას, მასთან გახსნილად საუბარს, რათა მძიმე სულიერი მდგომარეობიდან გამოვიდეს. ასევე, საინტერესოა ნატას ეპიზოდური შეხვედრები გეგი მდივანთან, სულ ორი შეხვედრა, რომელთა შესახებ არც არავინ იცის და, ცხადია, არც შვილს უყვება. ნატა ეძებს სულიერებას, ძიების გზაზე იგი ყველაფერს ცდის, ამიტომ დადის მაქსთან, ამიტომ შეხვდა „ბჰაგავადგიტას“ ქართულად მთარგმნელს გეგი მდივანს, ცდილობს საზოგადოებაში თავისი შესაფერი, საკუთარი ადგილი დაიმკვიდროს. ამიტომ წარმოთქვამს ლექსს, „ნანას“, რომლითაც იგი გონებით გეგის ესაუბრება. უნდა გავიხსენო გეგისთან საუბრისას ნატას მიერ წარმოთქმული სიტყვები, რომლებიც გვეხმარება მისი პიროვნების შინაგანი ბუნების გახსნაში: „თქვენს ასაკში“

მაპატიეთ. მამაჩემს უყვარდა როზანოვის: „Старость есть постепенное развязывание привязанностей“, А вы всё ещё способны на привязанность, სულ ესაა, რისი თქმაც მინდოდა. ცხადია, თქვენს უახლოეს შინაურებზე ეს არ ვრცელდება. სხვათა შორის, მათი კარგად ყოფნისთვის ბევრი არ მილოცია, თუმცა პატარა ანგარებით: მეწადა, ჩემი დაკარგვის გარდა სადარდებელი არაფერი გქონოდათ ცხოვრებაში, მხოლოდ ჩემი გაშვება გეტირათ“ (გვ. 352). ესაა იმგვარი ადამიანის სიტყვები, რომელსაც, მართალია, ჰყავს თითქოს სანიმუშო ოჯახი, აქვს უზრუნველი ყოფა, მაგრამ მაინც ენატრება სულიერი თავისუფლება და რომელმაც თითქოს ამგვარი ყოფა მცირე ხნით მოიპოვა, მაგრამ მალევე დაკარგა იგი.

მკითხველი პერსონაჟის მონათხრობით ეცნობა საინტერესო პასაჟებს, რომელთა მეშვეობით უკეთ შეიცნობა და აიხსნება თვით პერსონაჟის ბუნება, მისი თვალთახედვით მიეწოდება მკითხველს სამყაროს არსი, ადამიანის სულიერი მისია, რისთვისაც ავტორს შემოაქვს ქართველ საზოგადო მოღვაწეთა, სასულიერო პირთა, მწერალთა და სხვა ცნობილ ადამიანთა ცხოვრებისეული ეპიზოდები; ნიმუშად შეიძლება გაბრიელ ქიქოძის შესახებ მონათხრობი დავიმოწმოთ. ამით აჩვენებს XIX-XX საუკუნეების საქართველოსა და ზოგიერთი უცხო ქვეყნის ისტორიებს, საგანგებოდ ეხება XX საუკუნის მიწურულს ჩვენში მიმდინარე ურთულეს კატაკლიზმებსა და მოვლენებს, ეროვნული მოძრაობის დასაწყისსა და გარეჯის მონასტრის პრობლემას, 1989 წლის 9 აპრილის წინაპირობებს, რომელთა მწერლისეული ანალიზი მეტად საყურადღებოა. თხრობის ეს მეთოდი ტრადიციულია ქართულ მწერლობაში, და არა მხოლოდ ქართულ ლიტერატურაში.

რომანის მთავარი გმირის ლეოს სულიერი წვრთნის პერიოდი ამ მოვლენათა ფონზეა განსახილველი. მწერალმა საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება ლეოს ბავშვობაზე და აღნიშნავს, რომ სუროგატს ვერაფერს აკადრებო, მართალია, აქ საუბარი საკვებს ეხება, მაგრამ ამით ბავშვის ხასიათი და შინაგანი სამყარო ჩანს, რასაც იგი შემდეგშიც ინარჩუნებს. მოზრდილი ლეოს სულიერი საკვები მდი-

დარი ფსიქოლოგიური ლიტერატურა ხდება. აქ შეიძლება წმ. ეფრემ მცირის გამონათქვამი დავიმოწმო, რომლითაც წმ. ეფთვიმე ათონელის მთარგმნელობითი საქმიანობა შეაფასა და ქართველი ერის იმდროინდელი სულიერ-ინტელექტუალური მდგომარეობა აჩვენა, მისი სიტყვით, წმ. ეფთვიმე ათონელი „სძითა ზრდიდა“ სიჩვილეში მყოფ ქართველ ერს; ლეოს სულიერი საკვები სუროგატი არ შეიძლებოდა ყოფილიყო, მას ნამდვილი, ჭეშმარიტი მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურა იზიდავს. ლეოს ინტერესები ნაწარმოების დასაწყისშივე ცხადდება, იგი სამშობლოს, ადამიანს, ქართველ კაცს დასტრიალებს თავს, მისი ფიქრები საქართველოს წარსულს, აწმყოსა და მომავალს სწვდება. ლეო აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე სწავლობს, დადის საინტერესო საჯარო ლექციებზე, შეკრებებზე, ხვდება თავის თანატოლებს, რომლებთანაც საერთო ინტერესები აქვს; ერთ-ერთი ასეთი ლექციის დროს, კერძოდ, მეტრეველის ლექციის დროს იგი თავის ფიქრებშია ჩაძირული; მოვიტანთ ავტორის სიტყვებს: „კარგად აღზრდილი ადამიანი უდრის სასიამოვნო ადამიანს, საზოგადოდ, ასეა, სტუმრისთვის მითუმეტეს. სასიამოვნო ის არის, რაც უსაფრთხოა? მაგრამ არც ის ვარგა, სტუმარი გააზულუქო და მარტივი სიამოვნების მუშტრად დასახო, ზოგი ამას არც გაპატიებს, თავისებურად. ამიტომ აქტივობის წილ დავახვედრებ ჩემს გაღმამჭვრეტელობით კაპიტალს და პოტენციალსაც. თუ ისე მოხდა, რომ გადავწონე, რაც ადვილი შესაძლებელია, რამეს ვაჩუქებ“ (გვ. 152). მაგრამ ლექტორისთვის დასმული კითხვით და მასზე გაცემული პასუხით ვრწმუნდებით, რომ ლეოს მისი პასუხი არ აკმაყოფილებს, მეტს მოელოდა და სასწრაფოდ გაეცალა კიდეც დარბაზს.

ლეო რთული პიროვნებაა, იგი ბევრს კითხულობს, უკავშირდება წიგნებით მოვაჭრეს, რომლისგანაც იმ ფსიქოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურას ყიდულობს, რომელიც ადრე საქართველოში იშვიათობა იყო; ლეოსთვის ყველაფერი ხელმისაწვდომია, მას საამისო საშუალება აქვს. მწერალმა ლეო წიგნებით გატაცებულ ახალგაზრდად წარმოადგინა, მამამისი ლადო კი პურკომბინატის

დირექტორია, რითაც თაობათა განსხვავებული ინტერესები აჩვენა, აგრეთვე, დასვა საკითხი მამაძეობის შესახებ, რაც წინაპართა ძველთუძველესი სიბრძნიდან მომდინარეობს. ლეო მონაწილეობს სტუდენტთა შეკრებებში, საერთო ეროვნულ მოძრაობაში ერთვება, აქტიურ ცხოვრებას ცდილობს, ხვდება დედეკას, რომლის შესახებ ალუზია-ენიგმებით გვესაუბრება და მის სახელს დოდოს რქას თუ დედეს რქას უკავშირებს. ტრაგიკული შემთხვევის გამო ფეხი იტკინა, თვეობით მოუხდა საწოლში წოლა, თვითმკვლელობაც სცადა, მაგრამ დროზე მიუსწრო დედამ და გადაარჩინეს; ყოველივე ეს მოწმობს ლეოს მძაფრ სულიერ განცდებსა და გარდასახვებს. მის მაძიებელ სულიერებას მისი სიზმარიც ადასტურებს, რასაც წინასწარმეტყველური ფუნქცია აკისრია. ლეოც, თავისი ბებიისა და დედის მსგავსად, მაქსთან აღსარებას წარმოთქვამს, რომელიც მისი პიროვნების არსს გვამცნობს. თავის გატაცებას ფსიქოანალიზით იგი ასე ხსნის: „ისე მოხდა, რომ ჩემი პიროვნული აღსვლა ამ წიგნით დავიწყე. მხოლოდ ამ მხრივ არის ის ჩემთვის მნიშვნელოვანი. მოკლედ, დრო მჭირდებოდა, დროის მოხელთება, ვიდრე იმაში განვმტკიცდებოდი, რასაც ეხლა ვთვლი მნიშვნელოვან ცოდნად. შფოთვაში არ მინდოდა არაფრის კეთება, შფოთვაში არ გამოდის. ასეთი იგავმიუწვდომელი კომფორტი არ შემექმნა, რა ვქნათ ახლა...“ (გვ. 428). მაქსის საპასუხო სიტყვები, რომელთაც იგი მონოლოგად გაიაზრებს, ეხმიანება ბიბლიურ მოძღვრებას, რუსთველურ და საბასეულ სიბრძნეს, რომლის მიხედვით საქმე და სიტყვა ერთიანი უნდა იყოს: „დამიდგა ჟამი საქმისა ... საქმე შენი დაწყებული და აღყვანილი სიკეთემდე ანუ მიდგომის შეუცდომლობამდე. საქმე დარი შენი სიყვარულისა“ (გვ. 429). ლეო ღვთის სიყვარულით მიდის ჭეშმარიტების შეცნობისაკენ.

ლეო სულიერების, მაღალი იდეალებისა და მარადიული ღირებულებების მაძიებელია, სულიერი წიაღის, სულიერი მამის მაძიებელია, იგი ცდილობს „მღვიმური ცნობიერებისაგან“ თავის დაღწევას, იმ ცნობიერებიდან, რომელშიც მთელი ერი კი არა, მთელი კაცობრიობა იმყოფება; მას, მაქსის სიტყვების მიხედვით: „გულისგული ეუბნებო-

და: ძიდან დაქირავებულამდე ჩამოქვეითდიო"; ეს სიტყვები სახარებისეული ერთი ეპიზოდის ალუზიაა, რაც ოდენ ერთ-ვად მიუთითებს ორივე პერსონაჟის სულიერ მდგომარეობა-სა და ინტერესებს; ამიტომ რომანის დასასრული, უფრო ზუსტად, ბოლო ფრაზა: „მზეს რა ამოიყვანდა!" კონცეპტუ-ალურ ხასიათს იძენს, რომელსაც უთუოდ დაჰკრავს ტრა-გიკული ელფერი. სკეფსისის უფლება კი ნამდვილად არ გვაქვს, მით უფრო, მთელი რომანი პიროვნების განვითარე-ბის, მარადიულ ღირებულებათა ძიებისა და ეროვნული ინ-ტერესების გაზავების იდეითაა გაჟღენთილი.

მაკა გოგუაძის რომანის პერსონაჟები სხვადასხვა თა-ობას განეკუთვნებიან, სხვადასხვა ეპოქის პოლიტიკურ-სო-ციალური და კულტურული ფენომენი განსაზღვრავს მათ ცხოვრებას, მაგრამ ჭეშმარიტი ღირებულებები მაინც ერ-თია: სამშობლო, ენა, ერი, რწმენა. ამით ამყარებს მწერა-ლი კავშირს თავის პერსონაჟებთანაც და მკითხველთანაც. ჰერაკლიტეს ცნობილი სიტყვების მიხედვით, ისტორიული მდინარების ყოველი მონაკვეთი განუმეორებელია. სწორედ მისი ამ შეუცვლელი და შეუვალი თვისების გამო ადამი-ანს მეორედ არ მოუწევს მდინარის იმ ნაკადში, იმ მონაკ-ვეთში ჩასვლა, რომელშიც ერთხელ უკვე ჩავიდა, ვინაიდან ყოველი ახალი ნაკადი და მასში ჩასვლა განუმეორებე-ლია. აქედან გამომდინარე, ყოველი ადამიანი განუმეორებე-ლია, თუნდაც მას ბევრი საერთო თვისება თუ გარეგნული ნიშანი აკავშირებდეს წინაპრებთან, თანამედროვეებთან თუ მომავალ თაობებთან. ყოველი ადამიანი ინდივიდია, განუ-მეორებელი ინდივიდი, რომელმაც იცის, საიდან მოდის, სა-ით მიდის, რა მოეთხოვება და რა უნდა აკეთოს. თუმცა, ამ თვალსაზრისის განზოგადება ძნელია, რადგან თუნდაც ძლიერად გამოკვეთილი ინდივიდი-პიროვნებებიც ხომ ორად იყოფიან. ამჯერად იმგვარ ადამიანთა ჯგუფზე ვსა-უბრობთ, რომლებმაც ეს იციან და ამ პრინციპით ცხოვ-რობენ, დაუმორჩილებლები არიან, ანუ, თუ მწერლის სიტ-ყვას გამოვიყენებთ, მათ არ შეუძლიათ „დამუხლისთავება", რითაც მათი სულიერი ძლიერება წარმოჩნდება. მათ იცი-ან, რომ სიკვდილის შემდეგ კი არ გაქრებიან, არამედ შთამომავალთა ცხოვრებად გარდაისახებიან, ანუ ლეოში

მისი წინაპრები არიან განსახოვნებულნი, მათი სულია ჩაბუდებული და გაცოცხლებული. ესაა მთავარი არსი ადამიანის არსებობისა.

ბოლოს მინდა გაგიხიაროთ ჩემი დამოკიდებულება საქართველოში არსებული თანამედროვე სულიერ-ინტელექტუალური ვითარების შესახებ: ავტორიტეტშელახულ წიგნიერებას დღეს ლიტერატურა, ჭეშმარიტად ღირებული ლიტერატურა უნდა დაეხმაროს, უფრო მეტიც – უნდა გადაარჩინოს, ჭეშმარიტმა შემოქმედმა უნდა თქვას თავისი ორიგინალური, კულტურის, სულიერების, ინტელექტის გადამრჩენი სიტყვა, რადგან ლიტერატურას, საზოგადოდ კულტურას, წიგნიერი, განსწავლული ადამიანები ქმნიდნენ და ქმნიან. ყოველი ერის სულიერ-ინტელექტუალური ცხოვრების მოწესრიგება სიტყვას ეკისრება: „პირველითგან იყო სიტყუაჲ და სიტყუაჲ იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუაჲ იგი“ (იოანე, 1, 1); რა თქმა უნდა, ქართული საა'ზროვნო სივრცის, სულიერების გადარჩენაც სიტყვას აკისრია. სიტყვა ღმერთია, ამავე დროს, სიტყვა მწერალს ხელეწიფება. ასეთად მესახება მწერალი მაკა გოგუაძე და მისი რომანი „ერზაცი ისევ ხუმრობს“.

ორიოდ სიტყვით რომანის ენის შესახებ; ენის ტექნიზაციისა და სლენგების მომრავლება-მოძალების ეპოქაში ენის სიცოცხლის, გადარჩენის გარანტი ლიტერატურაა, მხატვრული ლიტერატურა, მდიდარი ლიტერატურული ტრადიციის მემკვიდრე. ენა, რა თქმა უნდა, მხატვრული ენა, მარადიულობას სწვდება, მუდმივად ვითარდება, რის გამოც მხატვრული სისტემის ტრანსფორმაცია მუდმივ ხასიათს ატარებს. მაკა გოგუაძის რომანში ენის ესთეტიკური ფუნქცია სხვადასხვა ასპექტით ვლინდება, კერძოდ, მხატვრული თხრობის ორგანიზაციის ხერხებით, პერსონაჟთა ინდივიდუალობით, რაც ავტორის სტილსა და მანერას გვიჩვენებს. მწერალმა ჩვენი თანამედროვე ეპოქის კოლორიტი და ტენდენციები ენითაც აჩვენა და, ვფიქრობ, რომ გააგრძელა თექვსმეტსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის ჭეშმარიტად მდიდარი ტრადიციები.

N. SULAVA

"WHAT MAKE THE SUN RISE"

Maka Goguadze in her novel `Erzaci(false) is Joking Again` restore the destroyed spiritual contact with reader and writer. In this novel are shown the nowdays negative and positive events by objective view. Maka Goguadze brings the new style of word in georgian writing. She renews the classical stories with modern thinking and make new novel. Traditional, classical and modernism-postmodernism novel is very different form the modern novel.

`Erzaci is Joking Again` is the story of one traditional, intelligence, high cultural family in which the main problem is person's spiritual life. The main character is Leo and the period of his evolution, He is the separate one and the society in which he lives is separate too, the whole story is full of problems of separate society and person's life in this society. In the interview the writer said: `Leo _ it is me` which confirms that just the main character is the writer herself with new generation's problems.

Among the problems which are shown in novel the main is indivduality of our nation, the meaning of our life. To show this problem writer talking about reall people for example pops, famous people, scientists, philosopher, writers. In Novel they are not main characters but writer is talking about them, about their life, generation. By talking of characters is given information, they have the great function of feature, writer is giving her opinion by dialogs. the novel is not the long story of changes there are many remarks, just to show us the full face of main character writer is using all her inspiraion. Every characters and moments are the source of make new talk and new character.